პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 198 (13014) | სამშაბათი, 25 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲓᲘᲓᲐᲓ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲣᲡᲢᲐᲜᲐᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲠᲐᲖᲛᲖᲔ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კუსტანაის ოლქის ფედოროვკის საწარმოო სამმართველოს ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულ მექანიზებულ რაზმს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ქებით მოიხსენია რაზმის მუშაობის გამოცდილება სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესების საქმეში.

ამ რაზმის უფროსმა ივანე მაშკომ და მისმა მეგობრებმა მუშაობის თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს წერილში. მათ აცნობეს, რომ წინათ საბჭოთა მეურნეობაში მიწა გაპიროვნებული არ იყო მექანიზატორებზე და ხელფასი დამოკიდებული იყო მხოლოდ გაწმუშავებული ჰექტარების რაოდენობაზე. ადამიანები არ იყვნენ მატერიალურად დაინტერესებული მეტი რაოდენობით მიეღოთ პროდუქცია. საკმარისი არ იყო მატერიალური დაინტერესება აგრეთვე ტექნიკის დიდ მწარმოებლური გამოყენებით და შენახვით, რემონტის სახსრების ეკონომიას არ ითვალისწინებდნენ.

შეისწავლეს რა ალტაელ მექანიზატორთა გამოცდილება, კუსტანაის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში შექმნეს მექანიზებული რაზმები. თვითეულ მათგანს გაუპიროვნეს მიწის ნაკვეთები და საჭირო რაოდენობით ტექნიკა. რაზმები დაკომპლექტეს მუდმივი კადრებით, მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება პირდაპირ დაუკავშირეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობას.

ახლებურად მოწყობილმა მუშაობამ კარგი შედეგები მოიტანა. რთულ კლიმატურ პირობებში 1962 წელს ივანე მაშკოს მექანიზებულმა რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 12,6 ცენტნერი მარცვალი. მარცვალი მნიშვნელოვნად იაფი დაუჯდათ, ვიდრე წინათ. გასულ, განსაკუთრებით არახელსაყრელ წელს რაზმმა საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 10,5 ცენტნერი მარცვალი და 281 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. ამჟამად უანებში უხვი მოსავალი მწიფს. რაზმი ემზადება საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 18 ცენტნერი მარცვალი. დარწმუნებული ვართ, წერდნენ ახალგაზრდა ყამირელი მხვნელ-მთესველნი, რომ რაზმები შრომის ორგანიზაციის კარგი ფორმაა, რომელიც საშუალებას იძლევა დიდმწარმოებლურად გამოვიყენოთ მიწა და ტექნიკა.

ივანე მაშკოს კომკავშირულ-ახალგაზრდული მექანიზებული რაზმისადმი წერილში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდობა აყენებს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს — სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გავრცელდეს და დაინერგოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ყველაზე უფრო ეფექტიანი ფორმები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის. შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა იყოს მთავარ მაჩვენებლებთან — მოსავლიანობასთან, ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებისათვის დახარჯულ დროსთან და თვითღირებულებასთან.

თქვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული მექანიზებული რაზმის გამოცდილება, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი კუსტანაის მხვნელ-მთესველებს, უყოყმანოდ უნდა გავუფართოვოთ. ეფექტიანი ფორმა. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის. შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა იყოს მთავარ მაჩვენებლებთან — მოსავლიანობასთან, ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებისათვის დახარჯულ დროსთან და თვითღირებულებასთან.

თქვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული მექანიზებული რაზმის გამოცდილება, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი კუსტანაის მხვნელ-მთესველებს, უყოყმანოდ ეფექტიანი ფორმა. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის. შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა იყოს მთავარ მაჩვენებლებთან — მოსავლიანობასთან, ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებისათვის დახარჯულ დროსთან და თვითღირებულებასთან.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ

ამ დღეებში ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნა არტეზიული ტუმბოები ნავთობის მრეწველობისათვის.

ქუთაისის ქარხანა რესპუბლიკაში ერთადერთი საწარმო როდია, რომელსაც მრეწველობის ნაკეთობა გაეკვლო რუმინეთში.

გალვანომეტრები, ალბედომეტრები, ზუსტი ხელსაწყოები, მზის რადიაციის გასაზომად, რომლებსაც თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოს ქარხანა უშვებს, დიდი მოთხოვნით სარგებლობს ბუკარესტის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

რუმინეთის საწარმოებში შეიძლება შეხვდეთ აგრეთვე მოწყობილობას, რომელსაც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მარკა აქვს, რუმინეთის საზღვაო წყლებს სერავს ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მიერ გამოშვებული წყალქვეშა ფრთიანი კატარღები.

საქართველო რუმინეთს უგზავნის ღვინოს, ჩაის, კონსერვებს, ციტრუსებსა და ბორჯომის წყალს. (საქდესი).

ᲘᲐᲤᲝᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმის მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით წარმატება მოვიპოვეთ. შვიდ თვეში თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე უკვე მიღებულია 54 კვერცხი, წლიური გეგმა 60 კვერცხის მიღებას ითვალისწინებს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებულია 23.000 კვერცხით მეტი. წლიური გეგმით სახელმწიფოსთვის 90.000 კვერცხი უნდა მიგვეყიდა, მიგვყიდეთ 128.000 ცალი.

ხორცის წარმოების დავალებაც შესრულებულია. ამასთანავე ყოველი კილოგრამი ხორცის მიღების დანახარჯები 20 პროცენტით შევამცირეთ, ხოლო თვითეული კვერცხი 2 კაპიკით გავაიაფეთ. კარგად მუშაობენ ზოოტექნიკოსი თინა ყიფშიძე, მომვლელები თინა თურმანიძე, თამარ ყიფშიძე, ლიდა გაფრინდაშვილი.

Თ. ᲡᲐᲛᲔᲮᲠᲐᲕᲐᲫᲔ,
საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმის გამგე.

200.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ!

ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲚᲘ მეჩაიეები, — განაცხადა საუბარში საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. შავიშვილმა,**—ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა სამ ოთხ-დღეში მოათავონ. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 4.390 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს კი წლიური გეგმის 97,5 პროცენტს შეადგენს.

ორიან კოლმეურნეობები, რომლებმაც ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად უკვე გაანაღდეს ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს ვალდებულების ანგარიშში კრეფენ. ამ მხრივ აღსანიშნავია **დიდი ჯიხაიშის** კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, რომელმაც მოკრიფა 154 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 136 ტონისა.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს სოფელ **კულაშის** კალინინის სახელობის, **წულუკიძის** წულუკიძის სახელობის, **კულაშის** ორჯონიკიძის სახელობის, **სამტრედიის** ლენინის სახელობის, **დიდი ჯიხაიშის, გუბის, ქუტორის, პატარა ჯიხაიშის** და სხვა სოფლების კოლმეურნეებმა.

ცალკეული მკრეფავებიდან კვლავ წინ მიდის **დალი წივწივაძე,** მან სოფელ წულუკიძის კოლმეურნეობაში უკვე მოკრიფა 4 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი კილოგრამისა. ასევე ისახელეს თავი დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრმა ამხ. **დავითულიანმა** და სხვებმა.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტ დღეებში, — განაცხადა გალის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. ყიფიანმა, — გალელი მეჩაიეები დილიდან გვიან საღამომდე პლანტაციებში არიან. გუშინწინ მოიკრიფა 89 ტონა ფოთოლი, გუშინ — 130 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 13.730 ტონა ჩაი, რაც წლიური გეგმის 90 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ შეშელეთის, რეჩხო-ცხირის კოლმეურნეობები, გალისა და მზიურის საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური გეგმა და ახლა გეგმის ზევით კრეფენ.

წინ მიდიან ოქუმის ლენინის სახელობის, საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის, დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის, გუდაკის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა.

ყველა უქებს მარჯვენას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სოფელ ბუბუსნინჯის კოლმეურნეობის წევრს ციალა ყოლბაიას. მან 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 11.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ნაბაკევის კოლმეურნეობის წევრმა ციალა ერქვანიამ — 8.500 კილოგრამი, ხოლო თაგილოსნის კოლმეურნეობის მეჩაიემ თალიკო შონიამ — 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.



ამ სურათებზე ალბეჭდილია (მარცხნივ) ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ალექსანდრა ᲗᲝᲣᲑᲐ,** რომელმაც უკვე მოკრიფა 9 ათასი კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. მოწინავე მეჩაიეს **ლალი ზაქარიაძეს** (მარჯვნივ) ბეჯითი მუშაობით სერიოზული წვლილი შეაქვს მახარაძის საწარმოო სამმართველოს საერთო წარმატებაში. მან სოფელ განახლების კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების დროს იკისრა 0,3 ჰექტარზე მოეკრიფა 2.750 კილოგრამი ჩაი. პლანტაციის კარგი მოვლისა და ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად პირობა ვადაზე თვენახევრით ადრე გადაჭარბებით შეასრულა, მოკრიფა 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ფოტოები გ. ალპარტისა და ი. შაქარიშვილისა.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ

იალტა, 23 აგვისტო. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ყირიმში იმყოფება, აქ შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იუმჟაგინ ცედენბალს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ი. ცედენბალს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

24 აგვისტოს ყირიმიდან მოსკოვში დაბრუნდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲮᲐᲚᲮᲡ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შარლ დე გოლს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავს სახელოვან ფრანგ ხალხსა და პირადად შარლ დე გოლს გერმანელ-ფაშისტმპყრობლებისაგან პარიზისა და საფრანგეთის განთავისუფლების 20 წლისთავს. საბჭოთა ადამიანებს, ხაზგასმულია დეპეშაში, მუდამ ეხსომებათ წლები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სამხედრო თანამეგობრობისა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დარწმუნებული ვარ, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხებიც მეგობრული თანამშრომლობის განვითარება დღეს, ისევე როგორც განვლილი ოცი წლებში, შეესაბამება სსრ კავშირისა და საფრანგეთის საარსებო ინტერესებს, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲚᲣᲥᲜᲘᲙᲘᲡᲨᲘ

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საქდესი). დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე ლუქნიკში გაიხსნა სამშენებლო და საგზაო მანქანებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებათა საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობს 19 ქვეყნის, მათ შორის ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის 276 ფირმა და ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირს აგრეთვე ფართოდ აქვს წარმოდგენილი თავისი პროდუქცია.

გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. ფ. უსტინოვი, ბ. ე. დიმიტრიევი, პ. ფ. ლომაკი, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

საბჭოთა მთავრობის დავალებით გამოფენა გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახმეწინის თავმჯდომარემ ი. ტ. ნოვიკოვმა.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1964 წლის 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების „კოსმოსი-41“, „კოსმოსი-42“ და „კოსმოსი-43“ მორიგი გაშვება.

თანამგზავრების „კოსმოსი-42“ და „კოსმოსი-43“ გაშვება განხორციელდა ერთი მატარებელი რაკეტით.

თანამგზავრებზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკ. დესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი „კოსმოსი-41“ გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 11 საათი 55 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 39.855 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 394 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 64 გრადუსია;

თანამგზავრები „კოსმოსი-42“ და „კოსმოსი-43“ გაყვანილია ორბიტაზე, რომლის დაწყებითი პარამეტრებია:

— მიმოქცევის პერიოდი — 97,8 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1.099 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 232 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 49 გრადუსია.

მიღებული გაზომვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

— საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.



ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მოსკოვი. (სკდესის კორ.). რუმინეთი ხალის ერთგული დღესასწაულთან — ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ვოლგოგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში გაიმართება რუმინეთის კინოფილმების ფესტივალი.

მოსკოვში ფესტივალი გაგრძელდება 19 აგვისტოდან 27 აგვისტომდე. მოსკოველები გაეცნობიან რუმინეთის ოსტატთა ექვს მხატვრულ კინოფილმს. კინოთეატრების, კლუბების, კულტურის სასახლეების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ფილმები: „ტუდორი“, „ერთი ხოლოსა“, „სიყვარულის ასაკი“, „უცხო“, „ზღვის ჯაგა“, „დასვენება ზღვასთან“. მათ შორის არის ისტორიული, სათავგადასავლო, დრამატული და მხიარული კომედიური ფილმები.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲨᲘ

სიხარულმა და მხიარულებამ მოიცვა კიშინიოვის ქუჩები და მოედნები, სადაც ზეიმობდნენ ჰიტლერელ დამპყრობთაგან მოლდაველთის განთავისუფლების 20 წლისთავს, მთელი ქალაქი გამოვიდა დღეს მწვანით შემოსილ ქუჩებში. ხალხის ნაკადი დაიძრა ქალაქის ცენტრისაკენ, სადაც გამარჯვების ვრცელ და ლამაზად მორთულ მოედანზე გაიმართა შშრომელთა მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის დელეგაციებმა, თვალსაჩინო სამხედრო მეთაურებმა, ყოფილმა პარტიზანებმა, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ კიშინიოვში.

ქალაქის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან მოლდაველთის სს რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავს, გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ს. კონსტანტინოვმა.

სიტყვა წარმოთქვა მოლდაველთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ი. ბოდიულმა, რომელმაც თქვა, რომ მოლდაველი ხალხი არასდროს არ დავიწყებს. განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის გმირობას, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხების დახმარებას, რომლებმაც მას თავისუფლება და ბედნიერება მოუტანეს. დღესასწაულის წინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულთბილად მოულოცეს მოლდაველ ხალხს ფაშისტ ოკუპანტთაგან გახთავისუფლების ოცი წლისთავი. მთელი მოლდაველი ხალხის სახელით ი. ი. ბოდიულმა დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილი მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის — წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. აღვთქვამთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, თქვა ამხ. ბოდიულმა, რომ მოლდაველი ხალხი ძალ-ღონეს არ დაიშურებს და მთელ თავის ცდასა და უნარს მოახმარს ახალი მიჯნების მოპოვებას კომუნიზმის მშენებლობაში.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სახელით, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა სახელით საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. კ. ტიმოშენკომ გულითადად მიულოცა მოლდაველთის შშრომელებს დიდი დღესასწაული და ახალი წარმატებანი უსურვა მათ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ თადარიგის პოლკოვნიკის საბჭოთა კავშირის გმირის ი. ა. ბელსკის გამოსვლას. ზუსტად ოცი წლის წინათ ბატალიონი, რომელსაც იგი მეთაურობდა, პირველი შეიჭრა ალმოდებულ კიშინიოვში და ქალაქის თავზე აღმართა საბჭოთა ალამი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ყოფილმა პარტიზანმა, კიშინიოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა გ. ი. პანჩენკომ, № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ლუბა ტალმაზანმა.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

დღეს საღამოს მოლდაველთის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეიკრიბნენ საწარმოთა და ახალშენებლობათა საუკეთესო ადამიანები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სხდომას ესწრებიან თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეები — იასი-კიშინიოვის ოპერაციის მონაწილეები, დიდი სამამულო ომის პარტიზანები.

საზეიმო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მოლდაველთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ფ. ილიაშენკომ.

დიდი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა მოლდაველთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. ი. ბოდიულს.

—იასი-კიშინიოვის გამარჯვებით დამთავრებულ ოპერაციას, რის შედეგად განთავისუფლებულ იქნა მოლდაველთი,— თქვა მან, — უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ბალკანეთის ხალხების ბედის ათვის.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო. დაწერილებით დაახასიათა რა საბჭოთა ჯარების იასი-კიშინიოვის ოპერაციის სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა, მარშალმა ტიმოშენკომ თქვა:

— საბჭოთა ხალხი ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. გამოხატავს რა შშრომელთა ძირეულ ინტერესებს, ჩვენი პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, ბეჯითად იბრძვის ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

დასასრულ გაიმართა ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მოსკოვი. (სკდესის კორ.). რუმინეთი ხალის ერთგული დღესასწაულთან — ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ვოლგოგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში გაიმართება რუმინეთის კინოფილმების ფესტივალი.

მოსკოვში ფესტივალი გაგრძელდება 19 აგვისტოდან 27 აგვისტომდე. მოსკოველები გაეცნობიან რუმინეთის ოსტატთა ექვს მხატვრულ კინოფილმს. კინოთეატრების, კლუბების, კულტურის სასახლეების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ფილმები: „ტუდორი“, „ერთი ხოლოსა“, „სიყვარულის ასაკი“, „უცხო“, „ზღვის ჯაგა“, „დასვენება ზღვასთან“. მათ შორის არის ისტორიული, სათავგადასავლო, დრამატული და მხიარული კომედიური ფილმები.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალეროვანი დედაქალაქის მეშვიდეს ᲞᲝᲠᲢᲝᲒᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲕᲜᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **აკოფოვას** ლარისა მიხეილის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
2. **აკოფიანს** ნანიკ დავითის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ბულაშენი.
3. **ამირბას** შაშე ბიდოს ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.
4. **ბერიას** თამარ ძუკუს ასულს — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ცხაკაიას რაიონი.
5. **ვერმიშიანს** ანაიტ მარტიროსის ასულს — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ხოჯორნი.
6. **გამბაროვას** გიზხანუმ ალაპვერდი ყზის — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი საბირქენდი.
7. **კრდტონიანს** შოგაკატ პეტროსის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ეშტია.
8. **მამედოვას** ზაარალამ მამედ ყზის — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ქირაჩ-მუღანლო.
9. **ოტირბას** მინორა შაკეტის ასულს — კოლმეურნეობა „აფსნის“ კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი.
10. **ფაჩელიას** ვალია სუზარის ასულს — კოლმეურნეობა „ფოქვეშის“ კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.
11. **ხაჯას** მაამუდ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.
12. **ხანუმს** ყასუმ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.
13. **იუზბაშევას** ანასტასია ოდიკის ასულს — მუშას, ქალაქი თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ა. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ.
1964 წლის 21 აგვისტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲗᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ბუქარესტი. (საქდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ ბუქარესტის მახლობლად საკგარაკო ადგილ სნაგოვში გამართეს დიდი დარბაზობა ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო. დარბაზობას დესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორ

პარტიული ქრონიკები

აგიტატორი რომ დახელოვნდეს...

ქასპის სამრეწველო-საწარმოო პარტიულმა კომიტეტმა ამ დღეებში გამართა ზონის აგიტატორთა მეთოდური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ აგიტატორები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტპუნქტების გამგეები, პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები, ბიბლიოთეკარები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები.

მოხსენებით — „თანამედროვე ეტაპზე პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“ — გამოვიდა ქასპის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. გუმბერიძე.

კონფერენციის მონაწილეებს საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს: ქასპის ცემენტის ქარხნის შიფერის საამქროს ცვლის უფროსმა, აგიტატორმა ს. ხარაზიშვილმა — „საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩემი გამოცდილება ღამის ცვლებში“, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის გამოწვეის საამქროს უფროსმა მ. ღობნელიშვილმა — „აგიტატორი — სოციალისტური შეჯიბრების სათავეში“; მცხეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მხატვრული კერამიკის საამქროს უფროსმა, აგიტატორმა ზ. თეთრაძემ — „თვალსაჩინოების გამოყენება საგიტაციო მუშაობაში“; კავთისხევის კირქვის კარიერის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა კ. დარჯანიამ — „როგორ ვეხმარებით აგიტატორებს“, ზაჰესის № 1 ქასკადის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ტ. ხაბეიშვილმა — „აგიტატორთა შერჩევა და აღზრდა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა“, „საქენერგოს“ ცენტრალური მექანიკური სარემონტო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა თ. ბიწოშვილმა — „აგიტატორი-კომუნისტური მოძრაობის სათავეში“.

რ. მახარაძე.

ზეპირი ჟურნალი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან ერთად, მცხეთის კულტურის სახლში მოაწყო სიჩვენებელი „ზეპირი ჟურნალი“. ჟურნალი ოთხი გვერდისაგან შედგებოდა. ამ სანტერესო ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები.

„ზეპირი ჟურნალი“ მთლიანად მიძღვნილი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი. მოხსენებები — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები—მოქმედებაში“, „ქიმია-მეცნიერების სამსახურში“ და „მცხეთის რაიონის მშრომელები ებრძვიან საპოლიო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის“—წაიკითხეს მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. თათარაშვილმა. ნატახტარის მერქვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა პ. ღვაჩლიანმა, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ს. თოხაძემ.

ყოველი მოხსენების შემდეგ სცენაზე გამოდიოდნენ დეკლამატორები, მომღერლები, მოცეკვავეები. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ კავთისხევის სასოფლო კლუბის, ახალქალაქისა და მუხრანის კულტურის სახლების თვითმოქმედი გუნდების წარმომადგენლებს.

შ. ხეთაგური.

დუშეთის სარაიონთაშორისო განზეთის რედაქციის განყოფილების გამგე.

მბრძოლისა და ენგელსის საქმის გენიალურმა განმგრძობმა, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ახალი ეთაბრების ღრმა ანალიზის საფუძველზე ყოველმხრივ წინ წასწია მარქსიზმი, შეიმუშავა მწყობრი მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მისი უმაღლესი პრინციპის — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. სწორედ ვ. ი. ლენინმა გამოაცხადა ეს კავშირი, რომელშიც ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატს ეკუთვნის, ექსპლოატატორული წყობილების დანგრევისა და ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენების სავალდებულო პირობად.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით კომუნისტურმა პარტიამ აშკარა და ფარული ბრძოლის წინააღმდეგ იღიერეს ბრძოლაში შექმნა და განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ცარიზმის, ხოლო შემდეგ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობასა და სოციალიზმის გამარჯვებაში. ამ კავშირის სოციალური ძალის სიდიადე მთელი სიძლიერით ვლინდებოდა როგორც ომის, ისე მშვიდობიანი მშენებლობის ვითარებაში.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმები ორგანულად იყო შეხამებული ქვეყნის წინაშე დასმული საერთო ამოცანებთან და იცვლებოდა მათთან ერთად. თავიდანვე ამ გამარჯვებული კლასების ურთიერთობის საკითხი, რომელიც პოლიტიკურად აკამებდა მთელ პარტიულ და სახელმწიფო მუშაობას, ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო.

კომუნისტურმა პარტიამ შექმნა და განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი — მათი ნამდვილი კავშირის პირველი ფორმა, რომელიც განსაზღვრულ ეკონომიურ საფუძველზე იყო დამყარებული. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით კავშირის ეს ფორმა შეიცვალა სამეურნეო-პოლიტიკური ფორმით. კიდევ უფრო გაიზარდა ამ კავშირის როლი სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში.

სოციალიზმის მშენებლობის პირველ ხანებში მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მიმდინარე საკითხებში არსებობდა წინააღმდეგობა, მაგრამ ძირითად საკითხებში კი ინტერესთა ერთიანობა იყო, რაც ამ ორი კლასის კავშირის ნიადაგს წარმოადგენდა.

პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობა გლეხობასთან სწორი ურთიერთობის საბოლოო მოწესრიგების გზაზე შეჯამდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში.

კოლექტივიზაციის გამარჯვების შედეგად, რომელიც ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენდა სოფლად, ძალა დაკარგა ცნობილმა მესამე სტრატეგიულმა ლოზუნგმა და სოფლად ხელისუფლების დასაყრდენი გახდა კოლმეურნე გლეხობა. მუშათა კლასსა და გლეხობას შორის წინააღმდეგობას ძირი გამოეცალა და ისინი წარმოგვიდგნენ ისეთ მეგობრულ კლასებად, რომელთა მსგავსი ისტორიამ არ იცის. მათმა ინტერესთა ერთიანობამ საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა განაპირობა და დღეს საფუძვლად უდევს მათს მორალურ-პოლიტიკურ ერთსულოვნებას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება განმტკიცდა და განვითარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მდიდარი მოღვაწეობით. ამ საკითხმა შემდგომი კონკრეტიზაცია, განვითარება ჰპოვა ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში, რომელიც თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტად წარმოადგენს.

განუხრელად იზრდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის როლი კომუნიზმზე გაშლილი მშენებლობის პერიოდში. „სკკპ იმას ემყარება, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — რომ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის შემდგომ განმტკიცებას გადამწყვეტი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისათვის“.

ეს კავშირი კიდევ უფრო გაიფურჩქნება სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული ხაზით. სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაშლით მუშათა და კოლმეურნე გლეხობის ფართო მასები სულ უფრო და უფრო ჩაებმებიან სახელმწიფოს მართვის, საბჭოების საქმიანობაში. ქალაქი, მუშათა კლასი სულ უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, სამრეწველო საქონელს, მინერალურ სასუქებს მიაწვდის სოფელს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო სოფელი თავის მხრივ უზვად მიაწვდის მუშათა კლასს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ქალაქი, მუშათა კლასი კიდევ უფრო ფართოდ შეიტანს სოფლად კულტურას, მეცნიერებას. განუხრელად გაძლიერდება კოლმეურნე გლეხობისადმი მუშათა კლასის დახმარება კომუნისტური ცხოვრების წესებისა და ნორმების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვენების დანერგვაში.

მართალია, პროლეტარიატის დიქტატურამ ამოწურა თავისი ისტორიული როლი სსრ კავშირში, მაგრამ უომისოდაც განაგრძობს არსებობას მისი უმაღლესი პრინციპი — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. საქმე ის არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე არსებობდა ეს კავშირი და იარსებებს მის შემდეგაც. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ამ ორი კლასის კავშირი საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძვლად გვევლინება.

მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის კლასობრივი განსხვავების აღმოფხვრა, რაც ამავე დროს ჩვენი საზოგადოების კლასობრივი დაყოფის აღმოფხვრას ნიშნავს, მიმდინარეობს ამ კლასების კავშირის არა შესუსტებით, არამედ შემდგომი განმტკიცებითა და გაძლიერებით. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მთელ პერიოდში ამ კავშირში ხელმძღვანელ როლს ინარჩუნებს მუშათა კლასი, არა მარტო იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ წარმოებასა და ცხოვრებაში, არამედ იმიტომაც, რომ დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს. მუშათა კლასს ეს დიდი როლი ჩვენში დამთავრდება კომუნიზმის აშენებასთან ერთად, როცა გაქრებიან კლასები. მშრომელ კლასებს შორის ზღვარის წაშლა ხორციელდება საწარმოო ძალებისა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მაღალი განვითარების ბაზაზე. ეს განსხვავება წაიშლება საკუთრების საერთო-სახალხო და კოოპერაციული ფორმების ერთმანეთთან დაახლოების ერთიანი კომუნისტური საკუთრებისა და განაწილების ერთიანი კომუნისტური პრინციპის დამკვიდრების პროცესში.

კომუნიზმის დროს არ იქნება კლასები, გაქრება სოციალურ-ეკონომიური და კულტურიული - საყოფაცხოვრებო განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის, სოფელი მიაღწევს ქალაქის დონეს, მოხდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანულად შეერთება. ცხადია, კლასების გაქრობა კლასობრივი კავშირის გაქრობას ნიშნავს. მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის კლასობრივი განსხვავების აღმოფხვრით არსებობას შეწყვეტენ მათი კლასობრივი კავშირიც. ეს კავშირი ამით დაამთავრებს თავის ისტორიულ მისიას.

პარტიამ დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების გრანდიოზული პროგრამა. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია ერთსულოვნად არიან დარაზმული კაცობრობის ხანუკვარი ოცნების — კომუნიზმის განხორციელებისათვის. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე. კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში პარტიის მიერ დასახულია სამი მთავარი ამოცანა: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა და მშრომელთა კომუნისტურად აღზრდა. ჩვენი პარტიის ამ ლენინურ კურსს მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი. უსაზღვროდ დიდია საბჭოთა ადამიანების მონდომება, ინიციატივა. ამიტომაც წარმატებით სრულდება პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები. მძლავრ ალფოთლად განიცდის მთელი სახალხო მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა.

საბჭოთა ხალხი, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსის განუხრელი გატარებით აღფრთოვანებული, წარმატებით ახორციელებს შვიდწლიან გეგმას. ამაზე ერთხელ კიდევ თვალნათლივ მეტყველებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის პირველი სახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომლის დონეც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხალხის კეთილდღეობას, ქვეყნის წინსვლას კომუნისტური სიუხვის გზით. ამიტომაც პარტიამ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, კვების პროდუქტების წარმოების გადიდება მთელი პარტიის საქმედ, მთელი ხალხის საქმედ გამოაცხადა.

კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებები განახორციელა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. უმოკლესოდ მოკლე ვადაში ათვისებულ იქნა 42 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რეორგანიზებულ იქნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, შემოღებულია დაგეგმვის ახალი წესი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განმტკიცდნენ ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასაწყობებელი ფასები და სხვ. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 2,5-ჯერ გაიზარდა.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ უფრო ცხადყოფს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის — მატერიალური დოვლათის შემქმნელთა კავშირის სიდიადეს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად რესპუბლიკის მშრომელები ენერგიულად ებრძვიან პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. ამიტომაც მოპოვებულია მეტად დიდი წარმატებები ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში.

თვალსაჩინო მიღწევებით ხასიათდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. ყოველწლიურად მატულობს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესები, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებული 163 ათასი ტონის ნაცვლად მოკრიფეს და საბჭოთა ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ გულითადად მიულოცეს ეს წარმატება რესპუბლიკის მშრომელებს.

რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო აღაფრთოვანა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში.

წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევმა კავშირმა. ამ ორი მეგობრული კლასის კავშირის სიდიადე ერთხელ კიდევ მთელი სიძლიერით გამოვლინდა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გასულ არჩევნებში.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეობისათვის.

დოკ. გ. გამსახურდია.

საუგარი კომუნისტურ ურთიერთობაზე

დოვლათის შემქმნელთა კავშირი

ახალი სასწავლო წლის წინ

ახალი სასწავლო წელი არსებითად განსხვავდება წინა სასწავლო წლებისაგან. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის ვადის შეცვლის შესახებ. ამ დადგენილებამ სიახლე შეიტანა სკოლის სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო სკოლების მუშაობის პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, რამაც ცხადყო ის, რომ საშუალო სკოლაში ზედმეტად გაჭიანურებულია სწავლის დრო. დადგენილება ახალ ამოცანებს უსახავს ჩვენი რესპუბლიკის განათლების მუშაკებს, ხელს უწყობს სკოლაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას.

ჩვენი რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოცანებს ახალ სასწავლო წელს საშუალო სკოლებში სწავლის ვადის შეცვლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით, მიეძღვნა საქართველოს განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 22 აგვისტოს — თბილისში გაიმართა.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

თავის მოხსენებაში თ. ლაშქარაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საშუალო სკოლების სწავლის პროგრამაში ცვლილებები არ ნიშნავს იმას, რომ ვუბრუნდებით გასული წლების თეზლედს. წარმოებასთან სწავლის კავშირი საფუძვლად დაედება სკოლის მთელ მუშაობას. ახალი სკოლა განვითარდება როგორც შრომის პოლიტექნიკური სკოლა საწარმოო სწავლებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები, რომლებიც პირველ სექტემბერს მიეკვნენ მეათე და მეთერთმეტე კლასებში, ისწავლიან ძველი პროგრამით. არსებითად შეიცვლება მეცხრე კლასში სწავლის პროგრამა. მოხდება ცვლილებები დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის პროგრამებშიც. მინისტრმა დაწვრილებით ილაპარაკა ახალი სასწავლო გეგმების შესახებ. მან მასწავლებელთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებასთან ერთად, კვლავაც დიდი ყურადღება მიაქციონ საწარმოო სწავლებას, რაციონალურად გამოიყენონ დრო, რაც გამოყოფილია მეცადინეობისა და საწარმოო სწავლებისათვის.

თ. ლაშქარაშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის საშუალო სკოლების კავშირი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

— განათლების მუშაკები, — თქვა თ. ლაშქარაშვილმა, — ჩვენი პარტიისა და მთავრობის მშობლიური ზრუნვით არიან გარემოსილნი. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ის, რომ ჩვენმა მთავრობამ ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება — არსებითად გაუმჯობესდეს მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. ეგვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლები მთელი ჩვენი ქვეყნის განათლების მუშაკებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აღზარდონ კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული ცვლა.

დასასრულ თ. ლაშქარაშვილმა უპასუხა თათბირის მონაწილეთა მრავალ შეკითხვაზე. (საქდესი).

ემზადებიან სსკპკპიაში

სსკპკპიას რაიონის სკოლებში დიდი მუშაობა იქნა გაწეული ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 15 სკოლას, მიმდინარე რემონტი — 19 სკოლას. შეაკეთეს ძველი სასკოლო ინვენტარი, შეიძინეს ახალი. სკოლებისათვის დამზადებულია შეშა და ნახშირი.

სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად შეიძინეს 3 ათასი მანეთის ლიტერატურა, კაბინეტებისთვის — 39 ათასი მანეთის ინვენტარ-მოწყობილობა და ხელსაწყოები.

ს. კუჭავა.

საქალაქო საბჭო და მშრომელთა საჭიროებანი

მშრომელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია. ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებიან ამ საქმეს ქალაქ ჭიათურაშიც.

უკანასკნელ 4 წელიწადში აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 55.000 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ახალი ბინები მიიღო და სანიენო პირობები გაუმჯობესა 2.000-ზე მეტმა ოჯახმა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია. 84-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგებით დამთავრდა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კვარტალის გაშენება. იქმნება ახალი საცხოვრებელი მასივები.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის ქუჩების და მუშათა დასახლებების კეთილმოწყობას. ამ საქმეში ფართოდ არის ჩაბმული დეპუტატები, ქუჩის კომიტეტები.

მტკიცედ დამკვიდრდა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა ქალაქის კეთილმოწყობაში, მის გასუფთავებასა და გამწვანებაში.

წლების მანძილზე ლეჟავების უბნის ქუჩა მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. ახლა დაინტერესდნენ: ქალაქის საბჭოს დეპუტატი, ახალი ითხვისის მაღაროს მოწინავე მუშა, მტვირთავი მანქანის მეთანქანე ა. ჭიღლაძე, ამავე ქუჩაზე მცხოვრები პენსიონერი ინჟინერი შ. პაქსაშვილი, ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე პედაგოგი გ. ლეჟავა, აქტივისტები ი. გოგნელაძე, ა. მიშველიძე. მათ აღმასკომის წინაშე დააყენეს ქუჩის კეთილმოწყობის საკითხი.

მოწვეულ იქნა ქუჩის მოსახლეობის კრება, გამოიყო კეთილმოწყობის ხელმძღვანელი ჯგუფი 3 კაცის შემადგენლობით, რომელიც სათავეში ჩაუდგა მოსახლეობას. მშრომელთა მონაწილეობით აქ შესრულდა 6.400 მანეთის სამუშაო. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა გამონახა სახსრები ასფალტის დასაგებად, კანალიზაციის ქსელის გასაყვანად. ახლა ეს ქუჩა ერთ-ერთი კეთილმოწყობილია ქალაქში. ასევე მოიქცნენ მოსკოვის ქუჩის მეორე შესახვევში მცხოვრები მოქალაქეები, რომელთა მონაწილეობით აიგო ბეტონის კიბე.

ქალაქი ჭიათურა გაშენებულია ფერდობებზე, რაც მოითხოვს წყალდიდობის საწინააღმდეგო და ნიადაგსარსადენი მეურნეობის განვითარებას. ამ სამუშაოებზე დაიხარჯა 53.000 მანეთი, გადაიხურა ტოლსტოის და რგანის ქუჩების ღელეები, გაუმჯობესდა ამ ქუჩებზე მცხოვრებთა სანიტარული მდგომარეობა. დაინერგა ნაგვის ბინობრივი გაზიდვა, მიმდინარე წელს ქალაქში დაირგო 40.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი, გაშენდა სკვერები.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის სასმელი წყლით მომარაგებისათვის. ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ ჭიათურმშენის კოლექტივი უახლოეს ხანში გადასცემს საექსპლოატაციოდ ღრუდოს წყაროს სათავე ნაგებობებს, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას სასმელ წყალზე. დაჩქარებით მიმდინარეობს კანალიზაციის კოლექტორის მშენებლობა და ელექტროქსელის რეკონსტრუქცია.

ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. მიმდინარე წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების რაოდენობა 11 ერთეულით გაიზარდა. დაწესდა მტკიცე კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროების მუშაობაზე.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში მოსახლეობას მიეყიდა 48 მილიონ მანეთზე მეტის სამრეწველო და სასურსათო საქონელი. ორ წელიწადში საზოგადოებრივი კვების ქსელი გადიდდა 154 დასაჯდომით.

უახლოესი პერიოდისათვის დასახულია მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესების ღონისძიებანი. მწყობრში ჩადგება ისეთი ობიექტები, რომლებიც მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. მალე დამთავრდება ფეხბურთის სტადიონის (10.000 მაყურებლისათვის), დახურული საცურავი აუზისა და სპორტპავილიონის მშენებლობა, რომლებიც ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობანი იქნება. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბანონ-საბრეცხაო ნაგუთის ახლად განაშენიანებულ უბანში. წელსვე გაიხსნება ქალთა და მამაკაცთა კეთილმოწყობილი სალონი, გაიხსნება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ყველა ძირითადი საამქროთი, ფეხსაცმლის მექანიზებული შეკეთების და ქიმიური წმენდის საამქროები.

წელს დამთავრდება კაშხალის მშენებლობა მდინარე ყვირილაზე, მდინარის დონე აიწევს 4 მეტრით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური წყალის მიწოდება ცენტრალური ფლოტაციური და დამყვანი ფაბრიკებისათვის. შლამგამტარი მეურნეობის საექსპლოატაციოდ გადაცემით მდინარე ყვირილა გაიწმინდება, სამშობლო კი მიიღებს მაღალხარისხოვან მარგანეცს, რომელიც ჯერ კიდევ მდინარეში იკარგება.

ახლა ჭიათურაში მრავალ ოჯახს აქვს საშუალება ნახოს ტელეგადაცემები.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაიხსნება უნივერმაღი, საექსპლოატაციოდ გადაეცემა საზოგადოებრივი კვების 4 ობიექტი 280 დასაჯდომი ადგილით, აიგება კაფე-პავილიონი, ფარდულები.

დამთავრდა დახურული საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა.

მშრომელთა მგზავრობის გაუმჯობესების მიზნით ჭიათურაში ფართოდ არის გამოყენებული სამგზავრო-საბაგირო გზები, რომელთა ინიციატორი და დამპროექტებელია ცნობილი ინჟინერი, ჩვენი ქალაქის მკვიდრი გ. ფანცულაია. სამგზავრო-საბაგირო გზების მშენებლობა კვლავ დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, წელს ამუშავდება 5 სამგზავრო-საბაგირო გზა. ამ მოხერხებული ტრანსპორტით ქალაქის ცენტრს დაუკავშირდება ახალი მაღარო ზედა რგანი, შუქურთის ზეგანი და ახლადგანაშენიანებული მასივი ნაგუთი და სხვა დასახლებები.

საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წელს გაშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების წვრილი საამქროების დამსხვილება და მათი ახალი ტექნიკით აღჭურვა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არის გარკვეული ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მშენებლობის მაღალი ხარისხი, ეს იგრძნობა საბათქაშო და სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში. ხე-ტყის ნაკლებობის გამო ზოგჯერ მშენებლები იძულებული არიან სადურგლო ნაწარმი (კარ-ფანჯრები და სხვა) დაამზადონ ნედლი მასალისაგან, რაც შემდეგ განიცდის დეფორმაციას და უვარგისი ხდება, ზოგჯერ უხარისხოა პარკეტი, რის გამო ხშირად ცვივდება და ხელახლად გასაკეთებელი ხდება. ბევრი საყოფაცხოვრო ცენტრალური გათბობის სისტემის უწესივრობის გამო.

ახალი საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობას ზოგჯერ თან არ ახლავს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ჭიათურის საყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა გაზი, მაგრამ ბოლო დროს გაზქურების დამონტაჟება საცხოვრებელ ბინებში შეწყდა, რადგან არსებული წესების თანახმად 3 და 4 სართულიან საცხოვრებელ-სახლებში გაზქურების (बალონებით) დამონტაჟება აკრძალულია, ჯგუფური დანადგარების დადგმა კი დაპროექტებული არ არის და არც ხარჯთაღრიცხვებშია გათვალისწინებული.

ყველაფერი რიგზე არ არის არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისა და შენახვის საქმეში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ საბინაო ფონდი გაფანტულია ბევრ სხვადასხვა უწყებაში. მაგალითად, ქალაქ ჭიათურაში საბინაო ფონდს 7 სხვადასხვა უწყება ფლობს, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ქალაქთან არაფერი კავშირი არა აქვთ. ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 153 სამშენებლო უბანს ჭიათურაში აქვს 2-3 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, ეს საცხოვრებელი სახლები და მათი ტერიტორიები უყურადღებოდ არის დატოვებული, რადგან უბანი დიდი ხანია ზუგდიდშია გადასული.

მიზანშეწონილია საცხოვრებელი ფონდი თავმოყრილ იქნას ერთი უწყების ან ორგანიზაციის ხელში. ეს ხელს შეუწყობს როგორც საბინაო ფონდის მოვლა-გაუმჯობესებას, ისე საცხოვრებელი ფონდის სწორად განაწილებას.

სამართლიანად გვისაყვედურებენ ქალაქის კეთილმოწყობისა და სანიტარიული მდგომარეობის საკითხებზე. მაგრამ დახმარებაც ნაკლებია. ნაგვის საზიდი და ქუჩის მომრეცხი სპეციალიზებული ავტომანქანები მეტად მცირე რაოდენობით გვაქვს, ისინი ვერ უზრუნველყოფენ ნორმალურ მომსახურებას.

მშრომელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება მუდამ იქნება ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების ცენტრში.

უ. სხირტლაძე.

ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

„პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის დასახმარებლად“ — ასეთი წარწერა უკვე მეორე წელია ამშვენებს პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის შენობის ერთ-ერთ ოთახს.

ამ სურათზე (მარცხნიდან) თქვენ ხედავთ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს გ. ჩიხრაძეს, თ. ჯაფარიძეს, ს. კვეტენაძეს და პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეს თ. ავალიანს, რომლებიც რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ტ. ყანჩაველთან (მარჯვნიდან მეორე) ერთად პარტიული ორგანიზაციის მდივნის ოთახში ეცნობიან კომუნისტებს შორის დავალებათა განაწილების სანიმუშო ჟურნალს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

#

პალმირო ტოლიატი იტალიას გლოვობს

რომი. 22 აგვისტო. (საკ-დესის კორესპონდენტი ვ. გონჩაროვი იუწყება: რომი დღეს ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ, თვალის მომ-ჭრელად ანათებს მზე, ქალაქ-ი გაცხოველებულია, მოედნებზე ახო-ბით ტურისტი იკრიბება, ქალაქის მცხოვ-რებლები ეწევიან თავიანთი ჩვეულებრივ შრომას, მაგრამ ქალაქის მთელ ცხოვრე-ბაში დღეს რაღაც ახალიც გაჩნდა. გა-ზეთები, რომლებიც ხელში უკავიათ ავ-ტობუსებითა და ტროლეიბუსებით ქარ-ხნებში მიმავალ მუშებს, სამგლოვიარო ჩარჩოშია ჩასმული, და მსხვილი შრიფ-ტი აწყობილი სიტყვები გვაუწყებენ პალმირო ტოლიატის გარდაცვალებას. სახეები დამწუხრებულია. დაბრილია ალ-მები იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გაზეთ „უნი-ტას“ რედაქციის შენობებზე.

იტალიაში არსებობს ჩვეულება —ახ-ლო ნათესავების გლოვის დღეებში პიჯ-აკის საღილში იკეთებენ შავ ბანტს — ასეთი შავი ბანტები, წითელი ლენტით შემოვლებული, ბევრი ადამიანის ტანსა-ცმელზე ჩანს.

ამბავი, რომ პოლიატი გარდაიცვალა, ელვის სისწრაფით მოედო მთელ რომს, მთელ იტალიას.

უკვე გუშინდელი საღამოდან იტალიის კომუნისტური პარტიის ბევრ სექციაში გაიმართა სამგლოვიარო კრებები. ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში მუშებმა რამ-დენიმე ხნით შეწყვიტეს მუშაობა გლო-ვის ნიშნად.

იტალიის კომუნისტური პარტიის ხე-ლმძღვანელობის სახელზე მოვიდა სამძი-მრის დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს სენატის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულე-ბელმა მერძაგორამ, პრეზიდენტ სენინის მეუღლემ და პრეზიდენტის მთელმა ოჯა-ხმა (სენინი თვითონ არის ძლიერ ავად). ყველა მათ დიდი თანაგრძნობა გაუცხა-დეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვა-ნელობას.

როგორც კი რადიომ გადასცა ცნობა ამ-ბანაგ ტოლიატის გარდაცვალების შესა-ხებ, ანსას სააგენტომ დაიწყო იტალიის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა— სხვადასხვა პარტიის წევრთა განცხადე-ბების გადაცემა. ბევრი მათგანი პ. ტო-ლიატის სიცოცხლეში არ ეთანხმებოდა მას ბევრ რამეში, მაგრამ დღეს დიდად აფასებენ როლს, რომელიც პ. ტოლია-ტომ შეასრულა იტალიის ცხოვრებაში. სენატის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულე-ბელმა მერძაგორამ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომ-ლშიც დიდად აფასებს წვლილს, რომელ-ც პალმირო ტოლიატომ შეიტანა იტა-ლიის აღორძინების საქმეში ფაშიზმისა და ჰიტლერელი ოკუპანტებისგან მისი განთავისუფლების შემდეგ. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ბუჩარელი-დელჩი წერილში, რომელიც იტალიის კო-მუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფს გაუგზავნა, აღნიშნავს, რომ პალ-მირო-ტოლიატის გარდაცვალების გამო იტალიის პარლამენტმა დაკრძალ გამოჩე-ნილი მოღვაწე.

ალდო მორროსა და პიეტრო ნენის დეპეშები

იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდ-მარემ ალდო მორომ, როცა შეიტყო ტო-ლიატის გარდაცვალება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „თავზა-რი დამცა ცნობამ ტოლიატის გარდაცვა-ლების შესახებ. მინდა გითხრათ გულწ-რფელი სამძიმარი, რომელსაც ამის გა-მო გამოვხატავ ჩემი მთავრობისა და პი-რადად ჩემი სახელით“. თანაგრძნობის დეპეშა გამოგზავნა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პიე-ტრო ნენიმ. მის დეპეშაში ნათქვამია: „ტოლიატის სიკვდილი — სასტიკი დანა-კლისი კომუნისტებისათვის, მშრომელე-ბისათვის, იტალიისათვის, ტოლიატიმ უდიდესი გავლენა მოახდინა მუშათა ბრძოლაზე უკანასკნელ 40 წელიწადში— როგორც ფაშიზმის 20 წლის ბატონობის დროს, ისე ამ ბოლო 20-წლეულში“...

თანამეგზრძოლთა სამძიმარი

გარშავა. პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ და პოლონელმა მშრომელებმა დიდი მწუხარებით შეიტყვეს, რომ გარდაცვალა ამხანაგი პალ-მირო ტოლიატი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომი-ტეტისადმი ხაზგასმით აღინიშნული, რომ ამხანაგი პალმირო ტოლიატის სახით საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ დაკარგა თავისი რიგების ერთო-ბის მგზნებარე დამცველი, თანამიმდევრული ინტერნაციონალისტი, სოციალ-ისტური ქვეყნებისა და იმ ხალხების ერთგული მეგობარი, რომლებიც თავი-სუფლებისათვის იბრძვიან, ხალხთა მეგობრობის მედგარი დამცველი.

ბუქარესტი. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი პარტია იზიარებს იტალიელ კომუნისტთა დიდ მწუხარებას იტალიის მუშათა კლასის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამო-ჩენილი მოღვაწის ამხანაგ პალმირო ტოლიატის გარდაცვალების გამო და უაღრესად გულწრფელ სამძიმარს გამოთქვამენ, აღნიშნულია რუმინეთის მუ-შათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში იტალიის კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სოფია. ბულგარელი კომუნისტები და ბულგარელი ხალხი, ნათქვამია ბუ-ლგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში იტა-ლიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდად სწუხან და არასოდეს არ დავიწყებენ პალმირო ტოლიატის, მგზნებარე რევოლუციონერს, პატრო-ტსა და ინტერნაციონალისტს.

გდანსკი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა იტალიის კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა პალმირო ტოლი-ატის გარდაცვალების გამო.

პარიზი. „საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საფრანგეთის ყველა კომუნისტის, დემოკრატისა და ყველა მშრომელის სახე-ლით დიდი მწუხარებისა და გულისტკივილის გრძნობით სცემს პატივს პალმი-რო ტოლიატის ხსოვნას“, — ნათქვამია წერილში, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გაუგზავნა ვალ-დეკ როშემ იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გუს ჰოლმა ამერიკელ კომუნისტთა სახელით იტალიის კომ-პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა ღრმა მწუხარებისა და თანაგრძ-ნობის დეპეშა პალმირო ტოლიატის გარდაცვალების გამო.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კომპარტიამ, რომელიც იზიარებს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა გულწრფელ მწუხარებას ამხანაგ ტოლიატის გარდა-ცვალების გამო, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დიდ თანაგრძნობას უცხ-ადებს იტალიის კომუნისტებს, მუშათა კლასსა და ყველა პროგრესულ ადა-მიანს იმ უდიდესი დანაკლისის გამო, რომელიც მათ განიცადეს. დარწმუნებულ-ი ვართ, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, რომ იტალიის კომუნისტუ-რი პარტია დაიცავს ამხანაგ ტოლიატისა და ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ კურსს.

გარდაიცვალა გენჯამინ დევისი

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიც-ვალა შეერთებული შტატების კომუნის-ტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩი-ნო მოღვაწე ბენჯამინ დევისი. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა თავისი ერთ-ერთი ნა-ცადი ლიდერი, ზანგმა ხალხმა კი ერთგუ-ული და მამაცი შვილი. ბენჯამინ დევისი დაიბადა 1903 წელს ქალაქ დალუსნში (ჯორჯიის შტატი). მან დამთავრა ამჰერ-სტის კოლეჯი, ხოლო შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტი. იურიდიულ მეცნიერე-ბათა ახალგაზრდა დოქტორმა უარი თქვა ბურჟუაზიული ადვოკატის კარიერაზე და დაადგა მშრომელი ხალხის ინტერე-სებისათვის ბრძოლის ეკლიან გზას.

დევისის სახელი ცნობილი გახდა შე-ერთებულ შტატებში ოცდაათიანი წლე-ბის დამდეგს, როცა ახალგაზრდა იური-სტი გამოვიდა დამცველად მუშათა ლი-დერის, ქალაქ ატლანტაში (ჯორჯიის შტა-ტი) მშიერ უმუშევართა ლაშქრობის ხე-ლმძღვანელის პროცესზე. ამის შემდეგ დევისს არაერთხელ დაუცავს სასამართ-ლოებში რასიზმის, თვითნებობის, რეაქ-ციის მსხვერპლნი.

ამერიკელ ფერმერთა ბრძოლა

ნიუ-იორკი. ამერიკის გაზეთები იუ-წყებიან, რომ 20 აგვისტოდან გრძელ-დება ათეული ათასობით მესაქონლე ფე-რმერის გაფიცვა 23 შტატში. მათ შე-წყვიტეს პირუტყვის გაყიდვა ბაზრებში პროტესტის ნიშნად დაბალი ფასების წინააღმდეგ, რომლებსაც ხორცის მრე-წველები უკარნახებენ. ეს მონოპოლის-ტები იაფად ყიდულობენ ფერმერებისა-გან ღორსა და მსხვილფეხა რქიან პი-რუტყვს და ძვირად ჰყიდიან გადამუ-შავებულ და გასასაღებელ ხორცს. ოფი-ციალური მონაცემებით, უკანასკნელ ხუთ წელიწადში 13 პროცენტით შემ-ცირდა ფასები, რომლებსაც ფერმერე-ბი იღებენ პირუტყვისათვის. გაფიცვა წარმატებით ვითარდება.

მაკარტისტებს, დემოკრატიისა და პროგრესის მტრებს ძულდათ დევისი. 1949 წელს კომპარ-ტიის სხვა ლიდერებთან ერთად იგი ჩასვეს საპყრობილეში სმიტის ყაბადლებული კანონის მიხედ-ვით. ხუთი წლის პატიმრობამ შეარყია კომუნისტის ჯანმრთელობა, მაგრამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. ბოლო წლებში დევისი გახდა რეაქციის ახალი დევნის ერთ-ერთი მსხვერპლი, ამჯერად მაკარ-ნის ანტიკომუნისტური კანონის მიხედ-ვით. უკანასკნელ წუთამდე იგი ცხოვრო-ბდა დაპატიმრებისა და ხანგრძლივი პა-ტიმრობის შიშით.

პროგრესული ამერიკა დიდად სწუხს, დასტირის თავის ერთგულ შვილს.

საომარი მოქმედება კონგოში

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). კონგოელმა აჯანყებულებმა, რომლებიც მოქმედებენ ჩრდილოეთ კატანგის პრო-ვინციაში, მოიგერიეს მთავრობის ჯარე-ბისა და პოლიციის იერიში ქალაქ მანონ-ოს რაიონში და უკუაქციეს ისინი. ჯერ კიდევ სამი დღის წინათ კონგოს ჯარების სარდლები კატანგაში იკვეხნიდნენ, მანონ-ოს ხელში ჩაგდება „რამდენიმე საათის საქმეაო“. ახლა კი ისინი იმოწმებენ იმას, რომ „კვლავ დაეცა არმიისა და პოლიციის მორალური სულისკვეთება“.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, აჯა-ნყებულთა რაზმები შეტევითს ბრძოლებს აწარმოებენ ქალაქ კაბალოს — დიდმნი-შვნელოვანი სარკინიგზო კვანძისა და მდინარე ლუალაბის სამდინარო ნავსად-გურის რაიონში. ბრძოლები წარმოებს ეიროდრომის რაიონში, და აჯანყებულთა ძლიერი ცეცხლი მიწაზე დაშვების საშუ-ალებას არ აძლევს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებს, რომლებზეც არის დამ-ხმარე ძალები და საომარი მასალა მთავ-რობის ჯარებისათვის. თვითმფრინავები, რომლებზეც არის დამხმარე ძალა, მიდი-ოდნენ კაბალოში კამინიდან, სადაც, რო-გორც უკვე ვიუწყებოდით, ჩავიდნენ ჩრ-მბეს მთავრობის მიერ შეკრებილი სამხ-რეთაფრიკელი დაქირავებულნი, რომ-ლებმაც უნდა განამტკიცონ მთავრობის ჯარების „მორალური სულისკვეთება“.



სურათზე: იასის ხედი გოლიას განთქმული კოშკიდან.

როგერს კენედის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების იუს-ტიციის მინისტრი რობერტ კენედი გამო-ვიდა მასაჩუსეტსის შტატის დელეგაციი-დან დემოკრატიული პარტიის ყრილო-ბაზე, რომელიც დღეს იხსნება ქალაქ ატლანტიკ-სიტაში. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რ. კენედის განზრახული აქვს გამოაცხ-დოს, რომ აპირებს კენჭი იყაროს სენა-ტში ნიუ-იორკის შტატისაგან.

საკადრისი მიიღეს

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). ცუდად წაუვიდათ საქმე ოსვალდ მოს-ლის პარტია „იუნაიტინისტური მოძრაო-ბის“ წევრ ფაშისტებს, რომლებიც შეე-ცადნენ გუშინ თავყრილობა მოეწყოთ ზღვისპირა ქალაქ ჰოვში (სუსექსის საგ-რაფო). აღშფოთებულ მცხოვრებთა ჯგუფმა მიღეწ-მოლეწა ტრიბუნა და მი-კროფონი, ფაშისტი ორატორი კი მიწაზე დაანარცხა.

იუწყება რა ამას, გაზეთი „დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ რამდენიმე კაცი პოლიციამ დააკავა.

ათასობით მოკლული

ლონდონი. (საკდესი). გასულ წელს ინგ-ლისის საავტომობილო გზებზე დაიღუპა 6.922 კაცი და 350 ათასამდე კაცი დაშავდა.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, აღნი-შნავს უბედურ შემთხვევათა თავიდან არიდე-ბის სამეფო საზოგადოება, გზებზე დაღუპულ-თა რიცხვმა მიაღწია 285 ათასს, ხოლო და-შავებულების რიცხვმა ცხრანასეკარ მილიონს გადაკვარბა.

მუქარა არ წყდება

ნიკოზია, 23 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ნ. სემიონოვი იუწყება: მი-უხედავად იმისა, რომ უკ-ვე რამდენიმე დღეა არ ისმის სროლის ხმა, მდგო-მარეობა კვიპროსში კვლავ დაძაბულია. შავი ორუ-ბელი ჯერ არ გაფაფ-ტულა. კვიპროსელი ხალხის მტრებმა — ნატოელმა იმპერიალისტებმა უკანასკნელ თვეებში გააქტიურეს თავიანთი საქმია-ნობა. მათ გააძლიერეს ზეგავლენა კვიპ-როსის მთავრობაზე, დილობენ მიდდ-წეონ იმას, რომ იგი დაეთანხმოს აჩეესონ-ის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან და ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას კუნძულზე. იმპერიალისტები აძლიერებენ რესპუბლიკის სამხედრო ბლოკადას და იმუქრებიან, რომ ძალადურად გაყოფენ კუნძულს.

„ინგლისელ-ამერიკელმა იმპერიალის-ტებმა,— წერს დღეს გაზეთი „ხალავგი“, — დაიწყეს კუნძულის საზღვაო და საპა-ერო ბლოკადის მზაკვრული გეგმის რეა-ლიზაცია: უკანასკნელ 48 საათში ამერი-კის მე-6 ფლოტის ხომალდებმა, როელე-ბიც იმყოფებიან კვიპროსის ნაპირების მახლობლად, უკვე დაიწყეს ხმელთაშუა-ზღვის რაიონის დიდი უბნის სამხედრო კონტროლი...“

გუშინ პრეზიდენტმა მაკარიოსმა პრე-ზიდენტის სასახლეში მიიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბელჩერი და ინგლისის უმაღლესი კომისარი კვიპ-როსში გენერალი ბიშოპი და მოსთხოვა განმარტონ კვიპროსის ნაპირების მახლო-ბლად სამხედრო დემონსტრაციების მიზ-ნები.

„ინგლისის სამხედრო ბაზებს კვიპროს-ში, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „მახი“, — ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე აქტიურად იყენებენ კვიპროსის რესპუბ-ლიკის წინააღმდეგ. დღემდე ინგლისის ბაზებიდან ვერტმფრინავების საშუალე-ბით იარაღით, საომარი მასალით ამარაგ-ებდნენ ადგილობრივ თურქ ექსტრემის-ტებს.

პრეზიდენტი მაკარიოსი გამოვიდა ად-გილობრივი ჟურნალისტების კრებაზე და განაცხადა, რომ „მიუღებელია“ აჩესონის ეგრეთწოდებული ახალი გეგმა“. მაკა-რიოსმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ იმპერიალისტთა შანტაჟი, ზეძალმედები-სა და იმპერიალისტთა მუდმივი ინტრი-გების მიუხედავად, კვიპროსის მიმართ „რესპუბლიკის პოლიტიკა კვლავ მტკიცე და უცვლელია“. „კვიპროსის რესპუბ-ლიკა — ხაზგასმით აღნიშნა მაკარიოსმა, — კვლავაც მტკიცედ დაიცავს თავის და-მოუკიდებლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით“.

კონგრესი დამთავრდა

ტუნისი, 24 აგვისტო. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ტუნისის სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-ტივების ეროვნულმა კონგრესმა.

კონგრესში მონაწილეობა მიიღეს 450-ზე მეტი კოოპერატივის წარმო-მადგენლებმა.

კოოპერაციული მოძრაობა ტუ-ნისის სოფლის მეურნეობაში, რო-მელიც 1962 წელს დაიწყო, კვლავ ვითარდება. როგორც კონგრესზე აღინიშნა, ამჟამად კოოპერატივები ამუშავებენ 50 ათას ჰექტარ მიწას, მომავალ წელს კი დასახულია შეე-ქმნას კოოპერატივები კიდევ 130 ათას ჰექტარ ფართობზე.

დემონსტრაცია ზანზიბარში

ზანზიბარი, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწ-ყება: კვირადღის დასაწყისი ზანზიბარში ჩვეულებრივი იყო. ნახევრად ცარიელ ქუჩებში დარბოდნენ გაზეთის გამყიდველ-ები ბიჭები, ფანჯრებს არაწყენებდნენ ყა-ვის მოხეტიალე გამყიდველები, დაკროდ-ნენ ველოსიპედისტები, აუჩქარებლად მი-დიოდნენ აქა-იქ გამვლელები. ნაშუა-დღევს ზანზიბარი ამობოქრდა. შეძახილე-ბით „ყველანი პარტია აფრო-შირაზის ახალგაზრდათა ლიგის შენობისაკენ“ ქუ-ჩებში გაიქცნენ ახალგაზრდათა ლიგის წევრები, აგრეთვე ნენ რეპროდუქტო-რები. ახალგაზრდათა ლიგის შენობასთან სწრაფად მოეწყვნენ დემონსტრანტთა რიგები. წინ არიან რევოლუციური საბ-ჭოს წევრები, ზანზიბარის რევოლუციურ პროფკავშირთა ფედერაციის, პარტია აფრო-შირაზის ახალგაზრდათა და ქალთა ლიგების ხელმძღვანელები. დაფდაფების გრიალში მოვიდა ნორჩ პიონერთა კოლო-ნა. ყოველ წუთს მატულობს დემონს-ტრანტთა რიგები. აი მათ ავსეს ეკალი მოედანი და, ბოლოს, გასცდნენ მის ფარგლებს.

დემონსტრანტები რევოლუციური სიმ-ღერებით დაიძრნენ ზანზიბარის ქუჩებში ამერიკის საკონსულოსაკენ. „გაუმარჯოს კონგოს, ძირს იანკი“, „ამერიკელები ავ-რესორები არიან, ჩიმბე მოღალატეა“, — ერთხმად გაძახოდნენ დემონსტრანტები.

ორ საათს გაგრძელდა ქალაქის ქუჩებ-ში აღელვებული ხალხის დემონსტრაცია. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ამერიკის ზანზიბარის საელჩოს გაეგზავ-ნა პარტია აფრო-შირაზის, ზანზიბარის რევოლუციურ პროფკავშირთა ფედერა-ციის, პარტია აფრო-შირაზის ახალგაზრ-დათა და ქალთა ლიგების ერთობლივი განცხადება. ამერიკის ელერთვეული შტა-ტების ჩარევა კონგოს სამინაო საქმეებ-ში, ნათქვამია განცხადებაში, ამკარა აგრესიაა კონგოელი ხალხის წინააღმდეგ. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს ჩარევა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას არა მარტო აფრიკაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

საერთაშორისო ფილატელია
ფილატელია, ცნობიერი ჰობიოლოგია
ცხოვრება

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

ზეიმობს სოციალისტური რუმინეთი

ჯეკ რუბი ჩვენებას იძლევა

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენმა“ სამ ნომერში დაბეჭდა სრული სტენ-ოგრამა ჯეკ რუბის ჩვენებისა უორენის კომისიაში, რომელიც პრეზიდენტ კენედის მოკვლის გარ-ემოებათა გამოძიებაზე მუშაობს.

ვინ გადასცა „ნიუ-იორკ ჯორ-ნელ ამერიკენს“ სტენოგრამა — ნა-თელი არ არის. ამ გაზეთის კორეს-პონდენტი დოროთი კილგალენი ბუნდოვნად განმარტავს, რომ მან იგი მიიღო „ვაშინგტონში უორენის კომისიასთან ახლო მდგომ პირთა საშუალებით“.

რუბის დაკითხვა, როგორც სტე-ნოგრამიდან გამოდინარეობს, 8 საათსა და 05 წუთს გრძელდებოდა. ჩვენება მნიშვნელოვან ნაწილში სა-ქმაოდ აბნეულია.

მაგრამ ჩვენების ზოგიერთი მო-მენტი ნათელია. რუბი უარყოფდა, რომ რაიმე კავშირი ჰქონდა პრეზი-დენტ კენედის მოკვლასთან.

იგი უარყოფდა, რომ ვიღაცამ უბრძანა მოეკლა ლი ჰარვი ოსვალ-დი, რათა დაედუმებინა ადამიანი, რომელსაც ბრალდებოდა მკვლ-ელობა. იგი უარყოფდა, რომ იც-ნობდა ოსვალდს მანამდე, სანამ მას ტუვიით მოკლავდა დალასის საპო-ლიციო უბანში. იგი ამტკიცებდა, რომ ოსვალდი მხოლოდ იმისათვის, მოკლა, რომ პრეზიდენტის ქვრივი ეხსნა მძიმე განცდისაგან, როგორიც მისთვის იქნებოდა ოსვალდის მიერ ჩვენების მიცემა სასამართლოში.

თავის ჩვენებაში რუბიმ რამდენ-ჯერმე გამოთქვა შიში „ჯონ ბერჩის საზოგადოებისა“ და „ულტრათა“ სხვა ორგანიზაციების წინაშე, რო-მლებიც დალასში მოქმედებენ. მან სთხოვა უმაღლეს მოსამართლეს უორენს გადაიკვანონ იგი ვაშინგ-ტონში, იმიტომ რომ დალასში „ულტრებს“ შეუძლიათ მოკლან იგი.

ერთხელ რუბიმ აზრი გამოთქვა, რომ პრეზიდენტი კენედი მოკლულ იქნა შეთქმულების შედეგად, ამასთან გადაკვრით თქვა, რომ ეს უკი-დურეს შემარჯვენეთა შეთქმულება იყო. მაგრამ როცა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ჩკითხა, რას ემყარე-ბა თქვენი ეს განცხადებაო, რუბიმ უპასუხა, „გრძნობას“ ემყარებოო.

გამარჯვებათა წლები

უკანასკნელი უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავი

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. ვლასოვი და ფ. ჟარიკოვი იტყობინებიან: დღეს ქალ ბაიარეთის ტაბაკში ეროვნული კრების საზეიმო სესია, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახ-ლის დარბაზში შეიკრიბნენ დიდი ეროვნუ-ლი კრების დეპუტატები, საზოგადოებრიო-ბის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, რუმინეთის სახალ-ხო არმიის გენერლები და ოფიცრები, საზ-ღვარგარეთელი სტუმრები.

დარბაზის სცენის სიღრმეშია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახელმწიფო გერბი, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ — სამფერადოვანი სახელმ-წიფო ალმები და ალ-ისფერი ქსოვილები, რომლებზეც გამოსა-ხულია რუმინეთის მუ-შათა პარტიის ემბ-ლემა. სცენის ორივე მხარეზე ვეებერთელა ციფრებია 1944-1964.

დილის ათი საათია. დარბაზში მყოფი სამი ათასზე მეტი დეპუტატი და სტუმარი მქუხარე ტაშით შეხვდა, როცა პრეზიდიუმ-ში შემოვიდნენ და ადგილები დაიკავეს რუ-მინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კო-მიტეტის პირველი მდივანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა, სკკპ ცენ-ტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა რუ-მინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კო-მიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუმინე-თის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბ-ჭოს თავმჯდომარემ ი. გ. მაურერმა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელმა მო-ღვაწეებმა, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა, სოციალ-ისტური ქვეყნების პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა მეთაურებმა და წევრებმა, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ რუ-მინეთში.

დიდი ეროვნული კრების საზეიმო სესია გახსნა რუმინეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ შტეფან ვოიტეკმა, რომელიც მიესალმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ა. ი. მიქოიანის მეთაურობით და სხვა მოძმე ქვეყნების დე-ლეგაციებს. მან სიტყვა მისცა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რეს-პუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომა-რეს გ. გეორგიუ-დეჟს.

სესიის მონაწილეები გულთბილად შეხვ-დნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოია-ნის გამოსვლას.

სოციალისტური რუმინეთის იუბილეს ამ ღირშესანიშნავ დღეს, თქვა ა. ი. მიქოია-ნმა ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ რუმინელი კომუნისტებისა და ყველა პატრიოტის ვაჟ-კაცობასა და სიმტკიცეს, რომლებმაც მკაცრ-ი ტერორის წლებში, როცა იმყოფებოდ-ნენ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, იატაკქვეშეთში, გმირულად იბრ-ძოდნენ ფაშისტური რეჟიმის დამამხობისათ-ვის და ხალხს ამზადებდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

იმ პირობებში, რო-ცა საბჭოთა არმია ძლევამოსილად უტევ-და მტერს რუმინეთის მიწა-წყალზე, თქვენი ქვეყნის კომუნისტებ-მა ამხანაგ გეორგიუ გეორგიუ-დეჟისა და მისი თანამებრძოლე-ბის ხელმძღვანელობ-ით, 1944 წლის აგ-ვისტოს დაუვიწყარ დღეებში დარაზმეს და სათავეში ჩაუდგნენ რუმინეთის რევოლუ-ციურ ძალებს, დამ-ხეს სამხედრო-ფაშის-ტური დიქტატურა. რუმინეთის არმია ამ-იარაღი შეაბრუნა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ და საბჭოთა არმიასთან ერთად იბრძოდა რუმინეთის ტერიტორიიდან ფა-შისტური ჯარების განდევნისათვის, შემდეგ კი იბრძოდა რუმინეთის საზღვრებს იქით ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე.

სისხლმა, რომელიც რუმინელმა და საბ-ჭოთა მეომრებმა დაღვარეს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, შეადუღა ჩვენი მოძმე ხალხების მტკიცე მეგობრობა.

ჩვენ თქვენს გულწრფელ მეგობრებს, თქვ-ა შემდეგ ა. ი. მიქოიანმა, სულითა და გუ-ლით გვახარებს რუმინელი ხალხის გამარჯ-ვებანი სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენი ქვეყნების მშრომელები თავიანთ მარქსის-ტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანე-ლობით ერთად დარაზმულები მტკიცედ მი-დიან კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარდა მჭიდრო თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სუვერენიტეტის პატივისცემა, თანასწორობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით გულითადად მიუ-ღოცა მოძმე რუმინეთის მშრომელებს და უსურვა სწრაფად დაეძთავრებინოთ სოციალ-იზმის მშენებლობა.

ა. ი. მიქოიანმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ქუხარე ტაში.

შემდეგ სესიაზე სიტყვები წარმოთქვეს სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციე-ბის მეთაურებმა.

ბუქარესტი, 23 აგვისტო. საკდესის სპე-ციალური კორესპონდენტები გ. ვლასოვი და ფ. ჟარიკოვი იუწყებიან:

გუშინ ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოია-ნის მეთაურობით ეწვია მზა ტანსაცმლის ფაბრიკას „ბუკურეშტი“. საბჭოთა სტუმ-რები გაეცნენ მზა ტანსაცმლის წარმოების ტექნოლოგიას, დაათვალიერეს ფაბრიკის საამქროები. ფაბრიკის საგამოფენო-სადემ-ონსტრაციო დარბაზში საბჭოთა სტუმრებს უწვევეს მზა ტანსაცმლის უახლესი მოდელ-ები.

ა. ი. მიქოიანმა ფაბრიკის დათვალიერ-ების შემდეგ ფაბრიკის პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების წარმომად-გენლებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

გუშინვე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია გამოფენ-ას „სამშობლოს განთავისუფლების XX წლისთავი“. გამოფენა აშუქებს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რევოლუციური მო-ძრაობის განვითარებას რუმინეთში. აქ საბ-ჭოთა სტუმრებს შეხვდნენ რუმინეთის მუ-შათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდ-მარის პირველი მოადგილე გეორგე აპოს-ტოლი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევ-რი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მი-ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრუ დრეგიჩი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიუროს წევრი, რუმინეთის მუშათა პარტი-ის

მოკლედ

△ **ზუგდიდის** რაიონში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ მოვლინებული კარდიოლოგიური ექსპედიცია რესპუბლიკის მთავარი კარდიორევმატოლოგის გ. ბოლქვაძის ხელმძღვანელობით.

ექიმები პირველ რიგში შეისწავლიან ბავშვთა და მოზარდთა რევმატიზმს, გულის მანკებსა და გულსისხლძარღვთა ზოგიერთ სხვა დაავადებებს, აგრეთვე ხანდაზმულ ადამიანთა გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას.

ბ. ალუბაია.

△ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). **სამ ათეულ წელზე მეტია არსებობს ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელმაც ათასობით სპეციალისტი მოუმზადა სოფელს.**

ახლახან აქ მოეწყო ღია კარის დღე. საზეიმოდ მორთული ტექნიკუმი დაათვალიერა ზესტაფონის, ორჯონიკიძის, სარხეროსა და მაიაკოვსკის რაიონების 150 ახალგაზრდამ.

ტექნიკუმის სააქტო დარბაზში გაიმართა ახალგაზრდების შეკრება.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ფრანგი მზატვარი ჩვენი სტუმარია

სასტუმრო „თბილისის“ ერთ-ერთ ნომერში საქართველოს კორესპონდენტი შეხვდა გამოჩენილ ქართველ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას და... მისი რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირებს. საქმე ის არის, რომ აქ ჩამოვიდა ფრანგი მხატვარი ჟან დორვილი — ავტორი სურათების სერიისა „დიდოსტატის მარჯვენისათვის“, რომლებიც შეუკვეთა მას „ლუმანიტე დიმაწის“ მთავარმა რედაქტორმა. 1957 წელს კ. გამსახურდიას რომანი გამოვიდა პარიზში, რომელიც თარგმნა რ. დომეკამ და ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა ფრანგ მკითხველებში. დორვილი დაუკავშირდა კ. გამსახურდიას და მიიღო მისგან საჭირო მასალა, რომელიც ასახავს იმ ეპოქას, რომელშიც ხდება რომანის მოქმედება. ამ მასალის საფუძველზე შესრულდა სურათები, რომლებმაც შესაბამის ტექსტთან ერთად შეადგინეს „დიდოსტატის მარჯვენის“ ადაპტირებული ფრანგული თარგმანი.

— ახლა ვხედავ, რამდენად სუსტია ჩემი ნამუშევარი, — თქვა ჟან დორვილმა. — საქართველოს ისტორიული ადგილები და ბუნება გაცილებით უფრო მდიდარი და საინტერესო აღმოჩნდა.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მიწვევით ფრანგი მხატვარი 6 აგვისტოს ჩამოვიდა საქართველოში და ხანგრძლივად იმოგზაურა ჩვენს რესპუბლიკაში. იგი იყო მცხეთაში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ანანურში, სიღნაღში, გრემში, წინანდალში და გააკეთა 20-ზე მეტი ჩანახატი.

— ამ ჩანახატთა საფუძველზე, — განაცხადა მხატვარმა, — საფრანგეთში მოვაწყობ სურათების გამოფენას, რომელშიც ცენტრალურ ადგილს, რა თქმა უნდა, დაიკავებს სვეტიცხოველის კათედრალური ტაძარი. საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა, და მე არ მინახავს სხვა ასე ჰარმონიული არქიტექტურული ანსამბლი, როგორიც სვეტიცხოველია, რომელიც შექმნა ლეგენდარულმა ხუროთმოძღვარმა არსაკიძემ.

ჟან დორვილი შეხვდა კონსტანტინე გამსახურდიას. ერთ-ერთი შეხვედრის დროს მან შეასრულა მწერლის გრაფიკული პორტრეტი. იგი იყო საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში, რომლის ნაწარმოებებმა იგი აღაფრთოვანა.

ფრანგ მხატვარზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერებამ, საუბარმა აკადემიკოს შალვა ამირანაშვილთან.

25 აგვისტოს ფრანგი მხატვარი მიფრინავს მოსკოვში, იქიდან — სამშობლოში. (საქდესი).

გმირის უკვდავება

მოსკოვი. 25 აგვისტოს ოცი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ფაშისტურ დილეგში დაღუპა საბჭოთა კავშირის გმირი ლენინური პრემიის ლაურეატი თათარი პოეტი მუსა ჯალილი.

თათრეთის ასსრ სახალხო მხატვარმა მოქანდაკე სადრი ახუნმა შექმნა ქანდაკება „პატიმარი“, რომელიც მუსა ჯალილს გვიჩვენებს პატიმრობაში.

სურათზე: სადრი ახუნი ქანდაკება „პატიმართან“.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

დაკარგული ქულა

„ვოლგა“ (გორკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0. გორკი. 23 აგვისტო. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — მ. პინსკი (ხარკოვი).

„ვოლგა“ — კარასევი, ლუნინი, სელივანოვი, შაფრანსკი, კალაშნიკოვი, ბრედნევი, კოსტილევი, გოლოვენკოვი, გოლოვი, ალეკსიუტინი, მიხაილოვი; „დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, გ. სიჭინავა, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი (კალოევი), მესხი.

კიევის დინამოელებთან მატჩში წარუმატებლობის შემდეგ გორკელმა ფეხბურთელებმა მოახდინეს მთელი ძალების მობილიზაცია, რათა თბილისელებთან პაექრობაში თავი გამოეჩინათ, როგორმე ქვლავ ორი ქულა არ დაეკარგათ. ამას მათ მიაღწიეს, დინამოელებს ქულა წაართვეს.

* * *

24 აგვისტოს დინამოელები თბილისში დაბრუნდნენ. გუნდს ახლდა საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი **დ. ცომაია.** ჩვენ ვთხოვეთ მას, მოეთხრო გუშინდელ ასპარეზობაზე და საერთოდ გასვლით მატჩებზე.

აი რა გვიამბო მან:

მეტად მძიმე თამაში ჰქონდათ თბილისელებს გორკში. ამინდი ხელს არ გვიწყობდა, წვიმდა, მოულოდნელად ავად გაგვიხდა ზეინკლიშვილი და ისედაც შესუსტებულ დაცვას კიდევ ერთი საამედო ფეხბურთელი გამოაკლდა. იძულებული ვიყავით ზეინკლიშვილის ნაცვლად მოედანზე რეხვიაშვილი გამოგვეყვანა, რომელიც წინადღით დუბლმემადგენლობაში თამაშობდა (ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1).

დინამოელებმა ბრძოლა სწრაფი ტემპით დაიწყეს. მასპინძლებმა თბილისელთა თამაშს დაუპირისპირეს მასირებული დაცვა. აი მოთამაშეთა განლაგება — 1+5+2+3. იყო შემთხვევა, როცა თერმეტივე გორკელი საკუთარ საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა. მოგეხსენებათ ასეთ ვითარებაში ბურთის გატანა მეტად ძნელია. მასპინძლები არც უხეშობას ერიდებოდნენ. მათ მიზანში ამოიღეს მეტრეველი, მესხი, ბარქაია.

გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მეორე ნახევარში კალოევი გამოეყვანა, იქნებ კართან მაღალი ბურთების ჩაწოდებებით და კალოევის თავური დარტყმით მოგვეპოვებინა წარმატება, მაგრამ ჩინებულად ითამაშა კარასევმა. იყო ერთი მომენტი, როცა დინამოელთა კარი სასწაულებრივად გადაარჩინა კოტრიკაძემ.

საერთოდ „დინამოს“ მეტად მძიმე გასვლითი მატჩები ჰქონდა. ეფიქრობ, 5 ქულა, რომელიც მათ ამ შეხვედრებში აიღეს, არც თუ ცუდი შედეგია, მაგრამ შესაძლებლობა მეტი გვქონდა.

ხუთკილომეტრიან მწყობრში ჩადგომას კიდევ ორი კვირა დასჭირდება, ზეინკლიშვილი კი უკვე გამოკეთდა. შესვენება, რომელიც დაუდგა ჩვენს გუნდს, კარგად უნდა გამოიყენონთ.

ბოკიოს საგზურისათვის

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლეში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის 24 წამყვანი ტანმოვარჯიშის წინასაოლიმპიადო ძალთა მოსინჯვა.

ვაჟთა შორის მრავალქიდში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა **ვ. ლისიცამ** — 116,80 ქულა. მეორე იყო **ვ. ლეონტიევი.** ცალკეულ იარაღზე ვარჯიშში პირველი ადგილები დაიკავეს: ტაიტზე — **ი. ცაპენკომ,** რგოლებზე — **ვ. ლეონტიევმა,** ბრჯენით ხტომებში — **ვ. ლისიცამ,** ორძელზე — **ს. დეამიდოვმა,** ღერძზე — **პ. სტოლბოვმა,** თავისუფალ ვარჯიშში — **ვ. კერდემელიდმ.**

ბ. გურგენიძე ლიდერთა ჯგუფში

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მინსკის ნახევარფინალის ფინიშამდე ორი ტური დარჩა.

მეოთხე ტურში ჩვენი რესპუბლიკის ორივე წარმომადგენელს წარმატება ხვდა. გაფრინდაშვილმა ნოსკოვის წინააღმდეგ პაიკისა და ხარისხის ეფექტური შეწირვით ძლიერი იერიში მიიღო და 25-ე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. ასევე ინიციატივიანად იბრძოდა გურგენიძე ხოდოსთან და გამარჯვებაც მას ხვდა.

ამავე ტურში პეტერსონმა მოუგო კრუტინს, ბოიარინოვმა — მუხინს. ბირბრაგერ-ზილბერისა და ზახარიან-ეტრუკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები, მათ შორის გროსმაისტერ სუეტინ-ვოორგმაასი გადაიდო. სუეტინს პაიკი აკლია.

მეთოთხმეტე ტურში გაფრინდაშვილს საერთაშორისო ოსტატ მიკენასის წინააღმდეგ მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ენდშპილში ხელიდან გაუშვა ინიციატივა. მიკენასი კარგად იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. გურგენიძემ, კიდევ ერთი მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა სტურნირო ცხრილში. ამჯერად მან მოუგო ბირბრაგერს.

პეტერსონმა დაამარცხა ნოსკოვი, ვალიევმა — მუხინი, ბოიარინოვმა — ზახარიანი. ვოორმაასა და ხოდოსის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ლიდერი გახდა არბიელი მოჭადრაკე **ბოიარინოვი,** რომელსაც 11 ქულა აქვს. ბოიარინოვმა შეასრულა ოსტატის ნორმა. გროსმაისტერ სუეტინს 10 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, პეტერსონს — 9 ქულა და 2 გადადებული პარტია, გურგენიძეს — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ქართველი ჭადრაკელები



ვინ მოიპოვებს პრიზებს?

თბილისის „დინამოს“ კოლექტივი კვლავ ინარჩუნებს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მიერ დაწესებულ პრიზის მოპოვების შანსებს. ეს პრიზი განკუთვნილია იმ გუნდისათვის, რომელსაც ძირითად და დუბლიორთა შემადგენლობის ქულათა უკეთესი ჯამი ექნება. დღეისათვის თბილისელებს 55 ქულა აქვთ (27 ქულა ძირითად შემადგენლობას, 28 ქულა — დუბლშემადგენლობას).

გაზეთი „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატების — „ფუტბოლის“ პრიზის“ (სამი და მეტი ბურთის სხვაობით მატჩების მოგება) მთავარი პრეტენდენტია მოსკოვის „ტორპედო“ (6 მოგება).

ბათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 25 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	20	11	7	2	37-11	29
„დინამო“ (თბ.)	21	10	7	4	24-17	27
ცსკა	20	10	6	4	32-14	26
„დინამო“ (კ.)	20	8	9	3	30-18	25
სკა (როსტ.)	20	10	4	6	29-17	24
„სპარტაკი“ (მ.)	20	9	6	5	25-15	24
„შახტიორი“ (დ.)	20	8	8	4	23-15	24
„დინამო“ (მ.)	19	6	8	5	19-14	20
„დინამო“ (მნ.)	20	4	12	4	8-9	20
„ვოლგა“ (გ.)	22	5	8	9	11-27	18
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	20	5	6	9	15-21	16
„ზენიტი“ (ლ.)	20	5	6	9	17-25	16
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	20	4	8	8	10-22	16
„შინიკი“ (იარ.)	20	4	8	8	14-29	16
„ტორპედო“ (ქ.)	21	5	5	11	9-28	15
„კარატი“ (ალმ.)	19	4	6	9	15-21	14
„მოლდოვა“ (კიშ.).	20	4	4	12	10-25	12

ბათამაშების შედეგები

ბასსულ კვირადღეს და გუშინ გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების კიდევ ორი მატჩი ფეხბურთში.

ბათამაშების ლიდერი — დედაქალაქის „ტორპედო“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა აუტსაიდერის — კიშინიოვის „მოლდოვას“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

გუშინ სსრ კავშირის ჩემპიონს მოსკოვის „დინამოს“ პაექრობა ჰქონდა კიეველ თანაკლუბელებთან. მატჩის შედეგი ფრე 1:1.

დღეს ცსკა საკუთარ მოედანზე შეხვდება ბაქოს „ნეფტიანიკს“, ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობს ლენინგრადში „ზენიტთან“.

კიშინიოვის ტურნირზე

კიშინიოვი. (სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის კიშინიოვის ნახევარფინალურ ტურნირზე გათამაშდა 13 ტური. უკანასკნელ სამ ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **კიკინამ,** 2 ქულა დაკარგა.

ცამეტი ტურის შემდეგ ლიდერია **ლუტიკოვი,** რომელსაც 10,5 ქულა აქვს. **კიკინას, ჩესნაუსკასს, ბაგიროვსა** და **გოლდენოვს** რვა-ნახევარ-რვანახევარი ქულა აქვთ.

ბ. მაჰაშარიანი.

ოლიმპიური კანდიდატები

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები თავისუფალ ჭიდაობაში შეუდგნენ ვარჯიშს. თვითეული წონითს კატეგორიაში შედის სამ-სამი მოჭიდავე. ესენი არიან:

უმჩატეს წონაში — **ალი ალიევი** (მახაჩყალა), **ლეონიდ ბარსუკოვი** (კიევი), და **არსენ კევორკოვი** (ბაქო);

მჩატე წონაში — **აიდინ იბრაგიმოვი** (ბაქო), **ელკან თედეევი** (ორჯონიკიძე) და **დავით მუშელიანი** (ერევანი);

ქვემსუბუქ წონაში — **შამილ ტუგანოვი** (კიევი), **ნოდარ ხოხაშვილი** (თბილისი) და **დეგი ბაგაევი** (ალმა-ატა);

მსუბუქ წონაში — **ზაურბეგ ბერიაშვილი** (თბილისი), **იური გუსოვი** (ორჯონიკიძე) და **იური შახმურადოვი** (მახაჩყალა);

ქვესაშუალო წონაში — **გურამ სალარაძე** (თბილისი), **ნიკოლოზ აქსიონოვი** (მინსკი) და **ანდრია ცხოვრებოვი** (თბილისი);

საშუალო წონაში — **შოთა ლომიძე** (თბილისი), **ანატოლი ალბული** (ლენინგრადი) და **ყურბან აგაევი** (მახაჩყალა);

ქვემძიმე წონაში — **ალექსანდრე მედვედი** (მინსკი), **ვიტალეტ ბიბანოვი** (ალმა-ატა) და **კალიუ ლეიკა** (ტალინი);

მძიმე წონაში — **ალექსანდრე ივანიცკი** (მოსკოვი), **თეიმურაზ ხიოარიშვილი** (ქუთაისი) და **ევგენი ნადეუდინი** (მოსკოვი).

არსებობს თუ არა „მაღალი“ და „დაბალი“ რასები?

მოსკოვი. (საკ. კორ.). იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა იუნესკოს ექსპერტთა საერთაშორისო თათბირი რასობრივი პრობლემის ბიოლოგიური ასპექტების საკითხებზე, 19 აგვისტოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაიმართა მეცნიერთა საუბარი საბჭოთა და უცხოელ ეთნოლოგებთან.

პროფესორმა გ. ფ. დებეცმა პრესის წარმომადგენლებს გააცნო იუნესკოს ახალი დეკლარაციის ბიოლოგიური გაწყობილების პროექტი რასისა და რასობრივი ცრურწმენების შესახებ, რომელიც ერთსულოვნად მიიღეს ექსპერტთა თათბირზე. ამ დოკუმენტში განზოგადებულია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 30 ქვეყნის გამოჩენილ სპეციალისტ-ანთროპოლოგთა აზრი.

— ყველა თანამედროვე ადამიანი ეკუთვნის ერთ სახეობას, წარმოიშვა ერთი ფესვიდან, — ამტკიცებს დოკუმენტი, რომელიც მიიღეს მსოფლიოს მეცნიერთა უდიდესმა წარმომადგენლებმა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ წარმატებანი, რომლებსაც ადამიანმა მიაღწია ყველა სფეროში, როგორც ჩანს, ხოლოდ ელდებოდა მრავალი ათასწლეულის მანძილზე უმთავრესად კულტურული შენაძენების შედეგად და არა მემკვიდრეობით.

იუნესკოს ექსპერტთა აზრით, არასოდეს არ იყო დადგენილი, რომ რასების შერევა მთლიანად უარყოფით როლს ასრულებს კაცობრიობისათვის. პირიქით, იგი ფართოდ უწყობს ხელს ადამიანთა ჯგუფებს შორის ბიოლოგიური ურთიერთობის შენარჩუნებას და, მაშასადამე, ხელს უწყობს კაცობრიობის ერთიანობას მთელი მისი მრავალფეროვნებით.

მეცნიერებმა, რომლებსაც იუნესკომ დაავალა მაღალი მისია — მეცნიერულად განეხილათ რასობრივი პრობლემისა და რასობრივი ცრურწმენების ბიოლოგიური ასპექტები, მიზანშეწონილად ჩათვალეს ხაზგასმით აღენიშნათ, რომ ახლა დედამიწის ხალხებს აქვთ თანასწორი ბიოლოგიური შესაძლებლობანი ცივილიზაციის ყოველი დონის მისაღწევად. სხვადასხვა ხალხის პროგრესის განსხვავება მთლიანად მათი კულტურული ისტორიით აიხსნება.

მემკვიდრეობითი შესაძლებლობების სფერო გონებრივი საერთო განვითარებისა და კულტურული განვითარების უნარის მხრივ, ისე როგორც ფიზიკური ნიშნების სფერო, აღნიშნულია დოკუმენტში, საშუალებას არ გვაძლევს გავამართლოთ „მაღალი“ და „დაბალი“ რასების კონცეფცია.

მეცნიერთა საერთო დასკვნაა:

ბიოლოგიური მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგებიან რასისტულ თეზისებს, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ მეცნიერულ დასაბუთებაზე. ანთროპოლოგთა მოვალეობაა, განაცხადეს იუნესკოს ექსპერტებმა, — ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მათი კვლევის შედეგების დამახინჯებას არამეცნიერული მიზნების მიღწევისათვის.

პროფესორმა გ. ფ. დებეცმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ბიოლოგიური მონაცემები აბათილებენ რასისტთა თეორიებს

ანმა მიაღწია ყველა სფეროში, როგორც ჩანს, ხოლოდ ელდებოდა მრავალი ათასწლეულის მანძილზე უმთავრესად კულტურული შენაძენების შედეგად და არა მემკვიდრეობით.

იუნესკოს ექსპერტთა აზრით, არასოდეს არ იყო დადგენილი, რომ რასების შერევა მთლიანად უარყოფით როლს ასრულებს კაცობრიობისათვის. პირიქით, იგი ფართოდ უწყობს ხელს ადამიანთა ჯგუფებს შორის ბიოლოგიური ურთიერთობის შენარჩუნებას და, მაშასადამე, ხელს უწყობს კაცობრიობის ერთიანობას მთელი მისი მრავალფეროვნებით.

მეცნიერებმა, რომლებსაც იუნესკომ დაავალა მაღალი მისია — მეცნიერულად განეხილათ რასობრივი პრობლემისა და რასობრივი ცრურწმენების ბიოლოგიური ასპექტები, მიზანშეწონილად ჩათვალეს ხაზგასმით აღენიშნათ, რომ ახლა დედამიწის ხალხებს აქვთ თანასწორი ბიოლოგიური შესაძლებლობანი ცივილიზაციის ყოველი დონის მისაღწევად. სხვადასხვა ხალხის პროგრესის განსხვავება მთლიანად მათი კულტურული ისტორიით აიხსნება.

მემკვიდრეობითი შესაძლებლობების სფერო გონებრივი საერთო განვითარებისა და კულტურული განვითარების უნარის მხრივ, ისე როგორც ფიზიკური ნიშნების სფერო, აღნიშნულია დოკუმენტში, საშუალებას არ გვაძლევს გავამართლოთ „მაღალი“ და „დაბალი“ რასების კონცეფცია.

მეცნიერთა საერთო დასკვნაა:

ბიოლოგიური მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგებიან რასისტულ თეზისებს, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ მეცნიერულ დასაბუთებაზე. ანთროპოლოგთა მოვალეობაა, განაცხადეს იუნესკოს ექსპერტებმა, — ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მათი კვლევის შედეგების დამახინჯებას არამეცნიერული მიზნების მიღწევისათვის.

პროფესორმა გ. ფ. დებეცმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ურბნისი ალაპარაკდა...

ერთი დღე არქეოლოგებთან

ყველა თქვენგანს მუზეუმებში ინტერესით დაუთვალიერებია არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი სხვადასხვა უნიკალური ნივთები — იარაღები, სამკაულები, ჭურჭელი, ვერცხლის, ოქროსა და ბრინჯაოს სხვადასხვა ნაკეთობანი, რომლებიც შორეულ წარსულში ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ. მაგრამ ამავე დროს არასოდეს არ გიფიქრიათ იმაზე, თუ რამდენი შრომა, რამდენი დღის გულმოდგინე და ბეჯითი ძიება დასჭირდათ არქეოლოგებს, ვიდრე ეს ისტორიული ნივთები, რომლებმაც ათასეული წლები მიწის ქვეშ დაჰყვეს, მუზეუმის თაროებზე აღმოჩნდებოდნენ.

— არქეოლოგების შრომა ოქროს მაძიებელთა რთულ შრომასა ჰგავს, — გვიამბობს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **პაპუნ ზაქარაია.**

— ვიდრე რაიმე საინტერესო არქეოლოგიურ ნამარხს აღმოვაჩენდეთ, ზოგჯერ გვიხდება რამდენიმე ასეული კუბმეტრი მიწის გადათხრა და მისი გულდასმით და ფაქიზად გაინჯვა, შემოწმება.

გორის რაიონის სოფელი ურბნისი, სადაც უკვე რამდენიმე წელია არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, სამართლიანად ითვლება საინტერესო არქეოლოგიურ საგანძურად.

ურბნისის მიდამოებში არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს, მრავალფენოვანი მიწის ქვეშ უძველეს ნასახლარს წაწყდა.

მასალები რომლებიც ახლა არქეოლოგებს ხელთ აქვთ, მოწმობენ, რომ ანტიკურ და ადრეულ ფეოდალურ ხანაში ურბნისი საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა, სადაც მსოფლიო სავაჭრო გზა გადიოდა და აღმოსავლეთს დასავლეთთან აერთებდა.

ურბნის-ქალაქმა იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის 40-იან წლებამდე, ვიდრე მურვან-ყრუ მას აოხრებდა და მოსპობდა.

როდესაც ურბნისის მახლობლად მდებარე ეგრეთწოდებული ქვაცხელების ნასახლარს ვეწვიეთ, გაცარბენული არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა.

მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი არქეოლოგიური რაზმის უფროსის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჯაგრისებით გულმოდგინედ ასუფთავებდა სპეციალური ნიშანსვეტებით შემოკავებულ მიწის ნაკვეთებს.

აქ უკვე ნათლად ჩანდა ძველ ნაგებობათა კედლების მოხაზულობა, საცხოვრებელი ოთახების კერები, შესანიშნავად შენახული საოჯახო ნივთები — თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და ქვის სხვადასხვა ნაკეთობანი.

— გათხრების დროს წავაწყდით ერთიმეორეზე მდებარე ექვსი სხვადასხვა დროის ნასახლარ შენობებს თავისი საოჯახო მოწყობილობით, — გვიამბობს ა. ჯავახიშვილი. — ნაპოვნია თიხის ბევრი ჭურჭელი, სამეურნეო იარაღი, ირმის რქის უნიკალური სახნისები, კაჟის ნამგლები, მრავალი სარტყელა ნივთი.

აგრეთვე გათხრილი და შესწავლილია ფეოდალური ხანის ქალაქის საზღვარი, საცხოვრებელი უბნები, სარწყავი არხები, აღმოჩენილია გვიანი ანტიკური ხანის დიდძალი სამარხები ოქროს სამკაულებით, მინის ჭურჭლითა და სხვა ნივთებით.

სურათებზე: (მარცხნივ) ურბნისის გათხრებზე; მარჯვნივ (ზემოთ) — არქეოლოგიური რაზმის უფროსი ა. ჯავახიშვილი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პ. ზაქარაია ათვალიერებენ გათხრის დროს ნაპოვნ ნივთებს; ქვემოთ — სამყურა ჭურჭელი და სპილენძის საკინძე, დამზადებული 5.000 წლის წინათ.

ფოტო **ავტორისა.**

არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე მეცნიერებმა გამოთქვეს აზრი, ყველაზე უძველესი ნამოსახლარი რომ ეკუთვნის 30-ე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

იმისათვის, რათა ზუსტად დადგინდეს ურბნისში ნაპოვნი უძველესი დროის ნივთების „ასაკი“, რამდენიმე ნივთი, მათ შორის ხორბლისა და ქერის დანახშირებული ძნა, გაიგზავნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების რადიონახშირბადის ლაბორატორიაში.

გაკეთებულმა ანალიზმა დაადასტურა საქართველოს მეცნიერთა მოსაზრება და დადგინა ურბნისში გათხრილი ნასოფლარის ზუსტი „ასაკი“.

ამრიგად, ჩვენს წინაპრებს აქ ცხოვრება დაუწყიათ თითქმის 5.000 წლის წინათ, ადრეულ ბრინჯაოს ხანაში.

ვინ იცის, იქნებ მეექვსე არქეოლოგიური ფენის ქვეშ კიდევ უფრო ძველი ნასახლარია. ამას მომავალი გათხრები გვიჩვენებენ.

მაგრამ უკვე ის, რაც ნაპოვნია, წარმოადგენს მდიდარ მასალას ისტორიკოსებისათვის.

ს. კილაძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1964 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით

1. მექანიზმების, მანქანების და ავტომატური ხაზების თეორია; 2. მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა; 3. ფიზიკური ქიმია; 4. გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა; 5. მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები; 6. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 7. სამთო ელექტრომექანიკა; 8. ავტომობილები და ტრაქტორები; 9. თბომომარაგება და ვენტილაცია; 10. გამოთვლითი ტექნიკა; 11. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობანი; 12. ავტომატური მართვა და რეგულირება; 13. ელექტრული ქსელები და სისტემები; 14. ელექტრიკის თეორიული საფუძვლები; 15. ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია; 16. ნავთობის, აირისა და აირკონდენსატური საბადოების დამუშავება და ექსპლოატაცია; 17. ლითონმცოდნეობა და თერმული დამუშავება; 18. შავი ლითონების მეტალურგია; 19. სამსხმელო წარმოება; 20. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 21. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია; 22. ძირითადი და მძიმე ორგანული სინთეზის ტექნოლოგია; 23. სილიკატების ტექნოლოგია; 24. რკინიგზების დაპროექტება და მშენებლობა; 25. რკინიგზის ტრანსპორტის ხელოვნური ნაგებობანი; 26. რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლოატაცია; 27. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია და ელექტრომომარაგება; 28. საავტომობილო გზები; 29. სამშენებლო კონსტრუქციები; 30. ფუძეები, საძირკვლები და მიწისქვეშა ნაგებობანი; 31. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი; 32. არქიტექტურა.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

1. მექანიზმების, მანქანების და ავტომატური ხაზების თეორია; 2. მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა; 3. დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია; 4. ჰიდროგეოლოგია; 5. პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია; 6. გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა; 7. მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები; 8. მანქანათა მშენებლობის ტექნოლოგია; 9. სამთო ელექტრომექანიკა; 10. ავტომობილები და ტრაქტორები; 11. საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია; 12. გამოთვლითი ტექნიკა; 13. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობანი; 14. ავტომატური მართვა და რეგულირება; 15. ელექტრული ქსელები და სისტემები; 16. ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები; 17. ჰიდრავლიკა და ინჟინრული ჰიდროლოგია; 18. სამარკშეიდერო საქმე; 19. ლითონმცოდნეობა და ლითონთა თერმული დამუშავება; 20. სამსხმელო წარმოება; 21. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 22. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია; 23. სილიკატების ტექნოლოგია; 24. რკინიგზების დაპროექტება და მშენებლობა; 25. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია და ელექტრომომარაგება; 26. საავტომობილო გზები; 27. სამშენებლო კონსტრუქციები; 28. ფუძეები, საძირკვლები და მიწისქვეშა ნაგებობანი; 29. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი; 30. არქიტექტურა.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე. (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 45 წლის ასაკამდე), რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით და გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

განცხადება, ქვემოაღნიშნული საბუთების დართვით (1 ეგზ.) შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე: **დიპლომის პირი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი** ფოტოსურათით, **დახასიათება** უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დაბეჭდილი და ხელნაწერ